

5. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და დაქვემდებარების დროებითი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დებულება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და დაქვემდებარების დროებითი საბჭოს შესახებ _ დამტკიცდეს (თან ერთვის).

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 13 თებერვალი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)

დებულება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და გადაქვემდებარების დროებითი საბჭოს შესახებ

1. საბჭო წარმოადგენს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ სახელმწიფო სტრუქტურას, მას ემორჩილება და განკუთვნილია პროგრამების რეალიზაციისათვის აფხაზეთის თავდაცვისა და სამხედრო პოლიტიკის დარგში.

საბჭო შედგება სამოქალაქო პირებისა და შეიარაღებული ძალების, შინაგანი ჯარების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის პროფესიონალი ოფიცრებისაგან.

საბჭოს შემადგენლობა, წევრთა რაოდენობა ღია კენჭისყრით მტკიცდება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით და შეიძლება შეიცვალოს გადასაწყვეტი ამოცანების სირთულის მიხედვით.

2. საბჭო ამუშავებს და განსახილველად შეაქვს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადებები თავდაცვის საკითხებზე და სამხედრო პოლიტიკის შესახებ. ურთიერთქმედებს შეიარაღებული ძალების სარდლობასთან აფხაზეთის საზღვრებში მთელი ჯარის მომზადებასა და საქმიანობაზე კონტროლის გასახორციელებლად.

3. საბჭო ყოველმხრივ ხელს უწყობს აფხაზეთში მთელი ჯარის სამხედრო მზადყოფნის ამაღლებას, ახორციელებს აფხაზეთის იურისდიქციაში არსებული სამხედრო სტრუქტურების ხელმძღვანელობას.

4. საბჭოს უფლება აქვს წარუდგინოს თავისი წინადადებანი სხვადასხვა თავდაცვის სამინისტროების შესაბამის მეთაურებს და უფროსებს აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილებისა და სამხედრო დაწესებულებების საკადრო პოლიტიკის, მეთაურთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობის შერჩევისა და გამწესების საკითხები.

5. საბჭო ზრუნავს ჯარების ნორმალური მოქმედებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაზე. ამზადებს საკანონმდებლო აქტებს სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრების სოციალური და სამართლებრივი დაცვის თაობაზე, აგრეთვე შესაბამის წინადადებებს შეღავათებზე სამსახურის პირობების მიხედვით და გამააქვს ისინი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის მთავრობის განსახილველად.

ერთობლივად აფხაზეთის პროკურატურის ორგანოებთან ახორციელებს კონტროლს ხელი-სუფლების ყველა ორგანოს მიერ კანონმდებლობის აღსრულებაზე სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით .

6. ყოველდღიური ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტისათვის საბჭო ჰქმნის მუდმივ მოქმედ მუშა ორგანოს და შტაბს. რიცხოვრივი რაოდენობა, სტრუქტურა, სამხედრო წოდებები, სამუშაო ორგანოსა და შტაბის თანამდებობრივი სარგოები, აგრეთვე მათ მიერ მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი ძალები და საშუალებები, დგინდება საბჭოს ბრძანებით და შეიძლება შეიცვალოს გადასაწყვეტი ამოცანების სირთულის მიხედვით.

7. ყველა სამოქალაქო პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, საწარმო, სამინისტრო და უწყება, აგრეთვე საჯარისო ნაწილების მეთაურები, სამხედრო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უფროსები, ვალდებული არიან დროულად აღმოუჩინონ დახმარება და ხელი შეუწყონ საბჭოს წარმომადგენლებს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

13 თებერვალი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)